



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 124/ს
03/06/2022

124-21-4-202206030917



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ქ. ლაგოდეხის მიმდებარედ, მდ. ლაგოდეხისხევეზე წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო და ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ქ. ლაგოდეხის მიმდებარედ, მდ. ლაგოდეხისხევეზე წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო და ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთი მდებარეობს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ქ. ლაგოდეხის აღმოსავლეთით, მდ. ლაგოდეხისხევის მარჯვენა სანაპიროზე. საკვლევ უბანზე განვითარებულია ნაპირის ინტენსიური ეროზიული პროცესები, რაც წყალუხვობის პერიოდებში ხელს უწყობს ღვარცოფული ნაკადების ფორმირებას და საფრთხეს უქმნის როგორც ქალაქის მოსახლეობას, ისე - ინფრასტრუქტურულ ობიექტებს. მდ. ლაგოდეხისხევეს გამოაქვს დიდი რაოდენობის ლოდნარი და კაჭარ-კენჭნარი, რომლის აკუმულაციის შედეგად მდინარის კალაპოტის დონე აწეულია, რაც კიდევ უფრო ზრდის მდინარის ნაპირის წარეცხვის და წყლის გადმოსვლის რისკებს. ავარიული უბნის დასაცავად და პროგრესირებადი ეროზიული პროცესების შესაჩერებლად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო და ნაპირდაცვითი ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, მდ. ლაგოდეხისხევის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, დაახლოებით 1550 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე, ნაწილობრივ ცემენტირებული ქვყარილის მოწყობა. საპროექტო ტერიტორია განლაგებულია ზღვის დონიდან 480-570 მეტრის ნიშნულებს შორის. საპროექტო დერეფნის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X - 606659, Y - 4631507; X - 606860, Y - 4633042. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 25 მეტრით. საპროექტო დერეფანი სამი მხრიდან შემოსაზღვრულია სახელმწიფო ტყით და მისი ძირითადი ნაწილი მოქცეულია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისა (ლაგოდეხის აღკვეთილი) და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტის („ლაგოდეხი - GE0000001“) საზღვრებში.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული ნაპირსამაგრი ნაგებობის - ნაწილობრივ ცემენტირებული ქვყარილის

სიგრძე იქნება 1660 მეტრი. იგი აიგება ერთად განთავსებული სხვადასხვა ზომის ქვებისაგან და დაბათქაშდება ცემენტაციის ხსნარით, ქვებს შორის დარჩენილი სიცარიელების სრული მოცულობის $\frac{1}{2}$ -დან $\frac{1}{3}$ -მდე ამოვსებამდე. ნაწილობრივ ცემენტირებული ქვყრილის თავი მინიმუმ 0,6 მეტრით იქნება ამაღლებული წარეცხვის დონეზე, ხოლო ქვყრილის ძირი ჩადრმავდება წარეცხვის დონიდან, სულ მცირე 0,5 მეტრით.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია მდ. ლაგოდეხისხევის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ლაგოდეხისხევის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. ლაგოდეხისხევის სიგრძე, ნაპირსამაგრი ნაგებობის ქვედა კვეთამდე, შეადგენს 18,2 კმ-ს, საერთო ვარდნა - 2 675 მ-ს, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 48,6 კმ²-ს. დოკუმენტის თანახმად, მდ. ლაგოდეხისხევის მდგრადი კალაპოტის სიგანე, 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯის გავლის პირობებში, 328 მ³/წმ-ია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გამოყენებული იქნება ბულდოზერი, ბორტიანი მანქანა, ავტომწე, 2 ცალი ბეტონმზიდი, 2 ცალი ექსკავატორი და 5 ცალი ავტოთვითმცლელი. სამუშაოების პირველ ეტაპზე, მდინარის ნაკადის საჭიროებისამებრ მართვის/გადამისამართების მიზნით, მდ. ლაგოდეხისხევის კალაპოტის მარცხენა მხარეს მოეწყობა 7 მ სიგანისა და 1,2 მ სიღრმის მთავარი წყალსადინარი არხი, რომელიც უზრუნველყოფს მდინარის ნომინალური წყლის ხარჯების (30 მ³/წმ-მდე) შეუფერხებლად გატარებას. მთავარი წყალსადინარი არხის მოწყობის შემდგომ, მშრალ პერიმეტრზე, ნაწილობრივ ცემენტირებული ქვყრილის განსათავსებლად დამუშავდება და მოსწორდება მიწის ზედაპირი და დაეფინება ფილტრაციული ფენა (გეოტექსტილი ან ქვიშა-ხრეში). დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სამშენებლო ბანაკისა და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის განთავსება გათვალისწინებული არ არის. მშენებლობისათვის საჭირო შესაბამისი ფრაქციის ინერტული მასალა შემოტანილი იქნება რეგიონში მოქმედი კარიერებიდან, ხოლო ბეტონის ნარევი - ბეტონის საამქროებიდან. სამუშაოების დასრულების შემდგომ დემობილიზებული იქნება ყველა დროებითი კონსტრუქცია. ტერიტორია დასუფთავდება, გატანილი იქნება ნარჩენები და გაყვანილი იქნება სამშენებლო ტექნიკა/ავტოსატრანსპორტო საშუალებები. სამუშაოები გაგრძელდება 5-6 თვის განმავლობაში და დასაქმდება 15-20 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება გათვალისწინებული არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა მოხდება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მუშაობის შედეგად. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოსალოდნელია ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. ამასთან, სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში და სამშენებლო ტექნიკა იმუშავებს მონაცვლეობით (ერთდროულად 3-4). ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გატარდება შემდეგი ღონისძიებები: სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი; მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა (გზებზე - 45 კმ/სთ, სამშენებლო უბანთან მისასვლელ ბილიკებზე - 15 კმ/სთ);

სამშენებლო ტექნიკის ძრავების უკმ რეჟიმში ექსპლუატაციის კონტროლი; მასალების სატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვის და გადმოტვირთვის სიმაღლის შეზღუდვა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. ხოლო ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების პოტენციური რეცეპტორები - უახლოესი მოსახლე (25 მ) და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფარგლებში გავრცელებული ცხოველთა სახეობები. ხაზგასასმელია, რომ საპროექტო დერეფანი სამი მხრიდან შემოსაზღვრულია ტყიანი ტერიტორიებით (მცენარეული საფარის 15-20 მ სიგანის ზოლი), რაც ამცირებს ხმაურის გავრცელებას. ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებას ასევე ზღუდავს მდ. ლაგოდეხისხევის მარჯვენა ნაპირის რელიეფური პირობები. ამასთან, ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში და სამშენებლო ტექნიკა იმუშავებს მონაცვლეობით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. ლაგოდეხისხევისა და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. დოკუმენტის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები: მდინარის აქტიურ კალაპოტში ჩასატარებელი სამუშაოების წყალმცირე პერიოდში განხორციელდება, როდესაც წყლის ნაკადების დროებითი მართვა განსაკუთრებულ ძალისხმევას არ მოითხოვს და იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას; მთავარი წყალსადინარი არხის მოწყობის სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში განხორციელება და ნალექიან პერიოდში სამუშაოების შეზღუდვა/შეწყვეტა; სამშენებლო უბანზე ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტის, რეცხვისა და საწვავით გამართვის აკრძალვა; ნავთობპროდუქტების ავარიული გაჟონვის თავიდან ასაცილებლად, სამშენებლო ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტის რეგულარული შემოწმება და საწვავის ავარიულად დაღვრის დაუყოვნებლივ შეკავება/გაწმენდა აბსორბენტი მასალის გამოყენებით. მითითებული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, მდ. ლაგოდეხისხევეზე და გრუნტზე მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები. საპროექტო დერეფანში წარმოდგენილია კაჭარ-კენჭნარი, ღორღის და ხრეშის შემავსებლით. კაჭარ-კენჭნაროვანი მასალა საშუალოდ და კარგადაა დამუშავებული და ლითოლოგიურად წარმოდგენილია ქვიშაქვებით, ვულკანოგენური ქანებით და კირქვებით. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პროცესში საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო

ნარჩენები გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (მაგ. ზეთებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა), შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება მთავარი წყალსადინარი არხის მოწყობისას ამოღებულ გრუნტს - სრულად იქნება გამოყენებული ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობისთვის. სამუშაოების დასრულების შემდგომ საპროექტო ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო დერეფნის მიმდებარედ არ ხორციელდება და არც მომავალშია დაგეგმილი სხვა, მსგავსი ტიპის საქმიანობები, შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო დერეფნის ძირითადი ნაწილი მოქცეულია ლაგოდების დაცული ტერიტორიებისა (ლაგოდების აღკვეთილი) და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტის („ლაგოდები GE0000001“) საზღვრებში. სკრინინგის განცხადებისა და ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით, ლაგოდების აღკვეთილსა და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო დერეფანი სამი მხრიდან გარშემორტყმულია ტყით დაფარული ტერიტორიებით. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა მერქნული რესურსის აღრიცხვა. ძირობრივი აღრიცხვის საფუძველზე, სატაქსაციო ფართობზე აღირიცხა 8 სმ და მეტი დიამეტრის ყველა მერქნიანი სახეობა (ჯამში 298 ძირი), დადგენილი იქნა სიმაღლის თანრიგი და დაანგარიშდა მათი მოცულობები. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია 51,2 მ³ ხის მოჭრა. მოსაჭრელი ხეების უმრავლესობას წარმოადგენს ჩვეულებრივი მურყანი - *Alnus barbata*, რომელსაც მაღალი ეკოლოგიური ღირებულება არ გააჩნია. დოკუმენტის მიხედვით, გრძელვადიან პერსპექტივაში, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება ხელს შეუწყობს მდ. ლაგოდებისხევის სანაპირო ზოლის და მათ შორის, ტყით დაფარული ტერიტორიების სტაბილურობის შენარჩუნებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

მდ. ლაგოდებისხევის წყალდიდობის საწინააღმდეგო და ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან.


სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო და ნაპირდაცვითი ღონისძიებების განხორციელება, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.8 და 9.13 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ქ. ლაგოდეხის აღმოსავლეთით, მდ. ლაგოდეხისხევიზე წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო და ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო